ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

4 ივლისი
ხუთშაბათი
2024 წელი
№27 (9341)
ფასი 40 თეთრი

თქვენ გმირები ხართ

ცნობილი მწერალი და ფილოსოფოსი ბესიკ ხარანაული ქართველი ფეხბურთელების სახელოვან გამარჯვებებზე და 30 ივნისს ესპანეთთან დამარცხების გამო მაინც სიამაყით აცხადებს „უცნაურია ჩემი ხალხი, წაგებულით მოგებულია“.

რა ცოტა უნდა ქართველი კაცის ხასიათის გამოკეთებას. ესპანეთთან 1:4 დავმარცხდით, მაგრამ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ახალი სასახელო ფურცელი ჩაიწერა და ბიჭები სამშობლოში, როგორც გამარჯვებულნი, თავაწეულნი ბრუნდებიან.

მართლაც უდიდესი მადლობა ჩვენს ბიჭებს, გუნდის მთავარ მწვრთნელს, ვილი სანიოლს, ფეხბურთის ფედერაციას, ქართული სპორტის ამღორძინებელს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ყველა კეთილ ადამიანს და გულშემატკივართა დიდ არმიას, რომლებმაც თავიანთი აქტიური მხარდაჭერით გაამხნევეს ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები.

დამარცხებით გული არ უნდა გაიტეხონ ჩვენმა ბიჭებმა შესანიშნავი თამაშით გვასახელეს, გვწამს, სერიოზული გამარჯვებები კიდევ ბევრი იქნება.

მშვიდობისა და გამარჯვების გზებით ევლოს ჩვენ საყვარელ სამშობლოს.

„ვამაყობთ იმით, რაც ევროპის ჩემპიონატზე გავაკეთეთ. ესპანელების პირველი გოლის დროს ცხადად თამაშგარე იყო. თუ საფრანგეთის ნაკრებთან ნიდერლანდების გოლი გაუქმდა, ჩვენთვის ათჯერ უფრო ცხადი სიტუაცია იყო. ვიდეორეფერი შესანიშნავი გამოგონებაა, მაგრამ მისი სწორად გამოყენება ბოლომდე არ ვიცით.

ევროპის ჩემპიონატი დავასრულეთ და 2026 წლის მუნდიალზე გასვლაზე ლაპარაკი ძალიან ადრეა. გვქონდა ცუდი და კარგი პერიოდები, მაგრამ ეს ყველგან ხდება. ახლა მშვიდად უნდა გავაანალიზოთ, თუ რა გავაკეთეთ და რა გზა გავიარეთ. რა თქმა უნდა, უკანასკნელი შედეგებით კმაყოფილები ვიქნებით, რადგან ნაკრებმა გასაოცარი ევოლუცია განიცადა. ვამაყობთ ფეხბურთელებით. ახლა ამ გზის დასასრულამდე მივედით, მაგრამ, იმედია, შემდეგ კიდევ უფრო უკეთესი გზა იქნება.

ევრო 2024-ზე გუნდურად ფანტასტიკურად ვითამაშეთ. არ ვამბობ, რომ იმედგაცრუებულები ვართ, მაგრამ წაგებით მაინც დამწუხრებულები გახლავართ. თუმცა, ასეთია ფეხბურთი. უახლოეს დღეებში გავაანალიზებთ, რა გავაკეთეთ. ამ მატჩიდან ფეხბურთელებმა უნდა ისწავლონ. გაკვეთილის მიღება წაგებისგანაც შეიძლება და მოგებისგანაც” საზოგადოებრივი მაუწყებლის ცნობით, განაცხადა ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა **ვილი სანიოლმა**

ქართულ ფეხბურთს გაუმარჯოს!

მადლობა რომ ისტორია დაწერეთ.
მადლობა რომ ზღაპრული წუთები გვაჩუქეთ.
მადლობა რომ მთელი საქართველო გაგვაერთიანეთ.
მადლობა... მადლობა... მადლობა...

ოდა - ქართველ ფეხბურთელებს!

გერმანია განვაცვიფრეთ ჩვენი თბილი გულითა,
ევროპა კი დავიპყარით თოფითა, არა - ბურთითა.
ჩვენი ნიჭი და გონება კიდევ ერთხელ გაბრწყინდა,
და არწივის მართვე ცაში ღრუბლებს ზემოთ აფრინდა.
გვახსოვს, დიდი გამარჯვება ისიც გერმანიაში,
„კარლ-ცეისი“ - დავამარცხეთ ევრო თასის ფინალში.
დავამარცხეთ „ფეინოორდი“ და თვით „ლივერპულიცა“,
ევროპამაც მაშინ იგრძნო ძალა ქართულ სულისა.
ჩვენ ვერავინ დაგვამარცხებს და წინ ვივლით დიდებით,
დროშას ძირს არ დაუშვებენ ჩვენი ოქროს ბიჭები.
რადგანაც გვყავს ხვიჩა, „ჟორჟი“, ბუდუცა გვყავს, მამარდაც,
სახელები მათი ცაზე მეხივით რომ გავარდა.
ჩვენ სხვანი ვართ ჯიშით, გენით, მოდგმითა და სისხლითა,
საქართველოს სიყვარული დაგვაქვს გულის ფიცრითა,
სამშობლოსთვის თავდადება მოგვდგამს წიმაპარიდან,
და ვერასდროს ვერ ამოვალთ ვერც სამშობლოს ვალიდან.
სანამ ვცოცხლობთ ამ ქვეყანას ვივლით თავ-აწეულნი
და ვიქნებით მსოფლიოში რჩეულთ შორის რჩეულნი.
ქუდზე კაცი, ქუდზე კაცი - ზარი რეკავს სამების,
ბურთით უნდა შევარხიოთ დღეს მეტოქის კარები.
ჟამი დგება გამარჯვების, მოვიხადოთ ვალიო,
და დავატყოთ დღეს ევროპას ჩვენი ფეხის კვალიო.
დავუმტკიცოთ ევროპელებს, რომ არა ვართ მხდალები,
რომ ტოლს არ დაუდებენ ლაშები და კვარები.
გამარჯვების ჟინი ჯერ ხომ არ ჩამკვდარა გენებში,
დავითისა და ვახტანგის სისხლი გვიჩქეფს ვენებში,
ღირსეულად დავიმკვიდრეთ ადგილი დიდ ერებში,
ყველას, ყველას გენაცვალეთ მაგ კოჟრიან ფეხებში.
მადლობა რომ მოგვასწარით ამ ბედნიერ დღესაო,
და სახელი რომ გავუთქვით მამაც ქართველ ერსაო.
მერვედ ფინალში გავედით თავდადებული შრომითა,
გავიხარეთ ხვიჩასი და „მეფე ჟორჟის“ გოლითა.
ეს ერთი და სხვა მრავალი, გამარჯვების დღეები,
ახლა მაინც დაიჯერონ, რომ ვართ ევროპელები.
კიდევ ბევრჯერ გაგვახარეთ, დიდი გამარჯვებებით
და სახლებში დაგვიბრუნდით გულზე ოქროს მედლებით,
თან მსოფლიოს დაუმტკიცეთ ერთი ჭეშმარიტება,
რომ პატარა საქართველო - ცაზე კვლავ გაბრწყინდება.

ჯემალ ბიბილური

ბიძინამ სიტყვა საქმედ აქცია

მსოფლიოს უდიდესი გამომცემლობები „ბიბისი“, „როიტერი“, „ბილდი“ და სხვები ფართო ადგილს უთმობენ ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ ეროვნული ნაკრებისათვის დაწესებულ ჯილდოს.

ერთხმად აღნიშნავენ, რომ პორტუგალიასთან გამარჯვების შემთხვევაში ფეხბურთელებს 30 მილიონ ლარს გადასცემდა. ბიძინამ პირობა შეასრულა და ჯილდო ფეხბურთელებს გადასცა.

მთელი საქართველო სიხარულის ცრემლებით ტიროდა! ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ბიჭებით!! განურჩევლად ყველა მოთამაშისა! ჩვენ მოვიგეთ ომი! ვიბრძოლეთ ბოლომდე როგორც ქართველობას და საქართველოს შეეფერება! მადლობა ბიჭებს, მადლობა ქომაგებს, მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდში ვედექით ჩვენს ნაკრებს! ეს გამარჯვება, რა თქმა უნდა, აისახება ჩვენი ახალგაზრდა თაობის წინსვლაში, უდიდესი მოტივაცია შეუქმნეს ბავშვებს, ეს დიდი შრომის შედეგია. ერთს ვიტყვი, რომ ჩვენთვის წარმატების გზა ხსნილია! ჩემი თხოვნა იქნება, ყოველთვის ვიშრომოთ, ყოველთვის მაქსიმუმი გავაკეთოთ ჩვენი თავისთვის, რაც კი შეგვიძლია და შრომა არასოდეს დაიკარგება! უფლისა და საკუთარი თავის იმედი გვქონდეს! წარმატებების და გამარჯვების გზებზე ევლოს ჩვენს ნაკრებს!!

30 ივნისს დიდი ბრძოლა გადაიტანეს. კიდევ ერთხელ და მრავალჯერ მადლობა ბიჭებს, მადლობა ხელმძღვანელობას!

სერგი კობესაშვილი, ბორჯომის სასპორტო სკოლის - „ბორჯომი 2012“-ის კლუბის ბავშვთა საფეხბურთო გუნდის მთავარი მწვრთნელი, ახალციხის -„სამცხეს“ მოქმედი ფეხბურთელი.

საქართველოს ნაკრებს ვგულშემატკივრობ

-ფეხბურთით კვარაცხელიას გამოჩენის, ხოლო ჩვენი ნაკრების საფეხბურთო ცხოვრებით კი საბერძნეთთან მატჩის შემდეგ, როცა გადამწყვეტი გოლი ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა და ევროპული ჩემპიონატის მარათონში აღმოვჩნდით ჩართული, სწორედ იქიდან დავინტერესდი. ევროპული ტურნირის სამივე თამაშს ვუყურე. ერთმა მოსწავლემ მკითხა, რას ვფიქრობდი პორტუგალიის უძლიერეს გუნდთან თამაშის შედეგზე. მე ვუპასუხე, რომ გამარჯვების იმედი მაქვს, რადგან ძლიერ გუნდთან კიდევ უფრო მეტად შეძლებდნენ ჩვენი ბიჭები თვითრეალიზაციის გამოვლენას. ამ დროს გადავიღე ის ფოტო, სადაც საქართველოს დროშით ზურგგამაგრებული ვდგავარ. რაც შეეხება ფავორიტს, რადგან მე მთელ ნაკრებს ვგულშემატკივრობ და მიმაჩნია, რომ სწორედ გუნდური თამაშისა და მიზნის გარეშე, შედეგის მიღწევა შეუძლებელია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მამარდაშვილი მსოფლიო დონის მეკარეა, კვარამ პორტუგალიასთან არაჩვეულებრივად ითამაშა, სასტარტო დროს გაიტანა გოლი, რამაც გუნდს თავდაჯერება და გამარჯვების იმედი შესძინა, მიქაუტაძემ კი თავისი გოლებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველაზე დიდი ბედნიერება კი ჩვენი საამაყო ბიჭების მიერ ქართველთა სიყვარულით გაერთიანება იყო, რამაც გამახსენა XX საუკუნის 70-80-იანი წლების “დინამოს” მიერ ჩვენი აღტაცება. მათ შემდეგ ამ ჩემპიონატამდე, ფეხბურთის გულშემატკივარი არ ვყოფილვარ, ახლა კი ნამდვილად ერთგული გულშემატკივარი ვარ.

გელზენკირხენი - (რაინ-ვესტფალიის მხარე) - 26 ივნისს - ისტორიული დღე, ერთობის და სიყვარულის ზეიმი იყო საქართველოში. საქართველომ პორტუგალია 2:0 დაამარცხა. ესპანეთთან დავმარცხდით, მაგრამ მაინც თავაწეულები გამოვიდნენ მოედნიდან ქართველი ვაჟკაცები. მწამს მომავალში ქართული ფეხბურთი კიდევ უფრო გაბრწყინდება.

ნანა ქუმსიაშვილი,

ბორჯომის №1 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი

წარსულის მწარე გაკვეთილებიდან ახლა მაინც გამოვიტანოთ დასკვნები

დღეს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურ ვნებათა ღელვა, შური, მტრობა, პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირება და სხვა უთავბოლო, უაზრო გამონათქვამები, ურთიერთ ბრალდებები ჩვენს ბედკრულ ქვეყანას სიკეთეს რომ არ მოუტანს, ეს ბავშვმაც იცის, მაგრამ ყველაზე გულგასახეთქი და ამაზრზენი მაინც ისაა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ვერაფრით ვერ მიაღწიეს ერთობას, გაერთიანებას, საღი აზრით მსჯელობას.

სულმნათი ილია ჭავჭავაძის ნათქვამი მახსენდება - ,,ერთთავად ჩვენ წარსულს მივსტირით, რატომ გვიჭირს სამშობლოს საკეთილდღეო მომავლისათვის საერთო აზრის შეჯერებაო", - საკითხავი აი, ეს არის. ჩვენი ეროვნული უბედურების უმთავრესი მიზეზი მაინცდამაინც ის არის, რაც ოდითგან მოგვდევს. მხოლოდ ძლიერ მეფეებს შესწევდათ უნარი, ქვეყნის გაერთიანებისა. გახსოვთ, დავით აღმაშენებლის გამონათქვამი, როცა ბაღვაში აუჯანყდა და დაუმორჩილებლობა გამოუცხადა მეფეს. - არ გასწორდების ვითარცა ,,ძაღლის კუდი"-ო და დაუმორჩილებელი თავადი სასტიკად დასაჯა.

თუ რა გაჭირვება გამოიარა ქართველმა ხალხმა დასაბამიდან დღემდე, კარგადაა აღწერილი ისტორიკოსების მიერ, შეცდომების ანალიზიც მითითებულია, მაგრამ დასკვნების გამოტანა წარსულის შეცდომებისგან დღემდე არავის გამოუტანია. პირიქით, ძველ შეცდომებს, ახალსაც უმატებენ ჩვენი ,,რჩეული" პარლამენტარები. ამ სამიოდე თვის წინათ ევროპარლამენტში მივლინებულმა ნაცმოძრაობის ხუთმა დეპუტატმა საქართველოსათვის წარმატებულ დოკუმენტს ხელი არ მოაწერა, მათ ასეთ საქციელს ხომ სამშობლოს ღალატის ტოლფასი სასჯელი ეკუთვნის. უფრო მეტიც. ზოგიერთი ოპოზიციონერი დეპუტატები თურმე ევროპარლამენტში დარბიან და თავიანთ ნაცნობ-მეგობრებს ეხვეწებიან, საქართველო ევროპარლამენტში არ მიიღოთო. მერედა, ამას ჰქვია სამშობლოს სიყვარული? სულ ახლახანს ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ანა წითლიძე და ლევან ბეჟუაშვილი სტრასბურგში ჩავიდნენ და ევროსაბჭოს მიმართეს საქართველოს ევროსაბჭოში მოღვაწეობა შეუზღდეთო. მართალია ევროსაბჭომ უარყო მათი რეზოლუცია, მაგრამ ფაქტი ამაზრზენი და მრავლისმეტყველია.

არც ამერიკის კონგრესში შალვა ნათელაშვილის მიერ გაგზავნილი წერილია გასაკვირი, რომელშიც საქართველოს დაქცევის, შეურაცხყოფისა და დასანქცირების მოთხოვნა აქვს ჩამოწერილი. მიხედეთ ჩემს სამშობლოს, თორემ იღუპებაო.

არც ორი უსამშობლოების (საბანაძის) და (ჩხიკვაძის) გამოსვლაა ამერიკელთა კონგრესში მოსაწონი - ვიღუპებით და გვიშველეთო.

ბევრი რამ მართლა არაა გასაკვირი, არც ის, როცა მავანნი მობილური ტელეფონებით ცნობილ პიროვნებებს შეურაცხყოფილი ფრაზებით ლანძღავენ და აშანტაჟებენ, არც ის გაგიკვირდეთ, სადრბაზოებში და ქუჩებში თავს რომ ესხმიან ადამიანებს განსხვავებული აზრის გამო.

უკანასკნელ თვეებში და დღეებში განსაკუთრებული ,,პოპულარობა" მოიპოვა ,,გამჭვირვალობის" კანონის და ,,ლგბტ" პროპაგანდის აკრძალვამ, რომ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ.

თურმე ,,გამჭვირვალობის" კანონის მიღება თავისუფლად შეუძლიათ აშშ-ს, საფრანგეთს, კანადას და სხვა სახელმწიფოებს, ხოლო მსგავსი კანონის მიღება საქართველოსთვის დამღუპველია.

ყველაზე აღმაშფოთებელია საზღვარგარეთელი ,,მეგობრების" მოკლე შეფასება. თურმე 2012 წლამდე საქართველო ,,დემოკრატიის შუქურა" იყო და მას შემდეგ რაც ,,ნაცმოძრაობა" ,,ქართულმა ოცნებამ" სამართლიანი არჩევნების გამო შეცვალა, თურმე ქვეყანა სულს ღაფავს და ,,უკანონობის ჭაობში" იხრჩობა.

ძალიან მაინტერესებს და პასუხი ჯერჯერობით ვერსად ამოვიკითხე, რატომ სჯის ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა დემოკრატიის სახელით საქართველოს? ის, რაც მისთვის მისაღებია, ჩვენთვის რატომ არის მიუღებელი? მერედა, ესაა დემოკრატია?!

რატომ ცდილობენ, ამერიკის და ევროპის განვითარებული ქვეყნები ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოების დამორჩილებას და დამონებას.

ჩემდა გასაკვირად, ოკეანის გადაღმელები და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები თითს გვიქნევენ და გვემუქრებიან იმისათვის, რომ ქართველებს მშვიდობა და ქვეყნის აღმშენებლობა აქვს გადაწყვეტილი, არ უნდათ არავითარ ომში ჩაბმა. ჩვენმა ხალხმა განვლილ 34 წლის მანძილზე რამდენიმე ომი და შიდა აშლილობა გადაიტანა. მაინტრესებს, **ნუთუ ომის, ძალადობის, გადატრიალების და სისხლისღვრის გარეშე შეუძლებელია მშვიდობიანი თანაარსებობა?**

საზღვარგარეთელი ,,მეგობრების" შემყურეს რადიკალური ოპოზიციური პარტიები და მათი ლიდერები ხელისუფლებას ამუნათებენ ,,**ახლა ევროპიდანაც დაგიწესდებათ სანქციებიო**". მერე და, რა გიხარიათ, თქვე ოჯახდასაქცევლებო, ვინ დარჩება პირდაფჩენილი. იგივე პროცესი მიმდინარეობს გამჭვირვალობის კანონის მიღების გამო. მინდა

ვკითხო არასამთავრობო ორგანიზაციების მესვეურებს, **- სახელმწიფოს ევალება თუ არა კონტროლი დააწესოს იმ თანხებზე, რაც ქვეყანაში შემოდის? ან რაში იხარჯება ასე მალულად შემოსული თანხები?**

კარგად ვხედავთ ოპოზიციურ პარტიებს და მათ ,,მხურვალე მხარდამჭერებს" როგორ უნდათ საარჩევნო კამპანიის გაყალბება, კარგად იციან, ,,მღვრიე წყალში" ხელის მოთბობა, ქვეყანაში გადატრიალების მოწყობა და სხვა მავნებლური ქცევები.

საინტერესოა ისიც, ოკეანის გაღმელები მოგვიწოდებენ, გავხსნათ მეორე ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ, მერედა, რას მივიღებთ სამაგიეროდ? გვახსოვს, ცხინვალის ომის დღეებში, ამერიკამ პამპერსები და წყალი გამოგვიგზავნა.

ყოფილმა ხელისუფლებამ საქართველოს ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსეთს მიყიდა, ახლა ამ ხელისუფლებას უძახის ,,რუსეთუმეები" ხართო, ნუთუ მართლა ასე ბნელა და სამართალი აღარსადაა.

ხელისუფლების კურსს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს. უკანასკნელ წლებში მრავალი სოციალური, ეკონომიკური და ჯანდაცვის პროექტი განხორციელდა, მნიშვნელოვანი წინსვლაა ქვეყნის განვითარებაში. კურსი რომელიც ხელისუფლებამ აიღო, მოსაწონია და გვწამს, მიზნის მიღწევაში საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მხარს დაუჭერს.

ვალერიან ლომიძე.

ბორჯომის ბენერალური გეგმის მუშაობა დასრულდა

ამ პროექტზე „სითი ინსტიტუტი საქართველომ" 4 თვის განმავლობაში იმუშავა.

ხედვის შემდეგი ეტაპი განვითარების კონცეფციაზე მუშაობაა.

რა წერია ხედვის დოკუმენტში?

შემუშავებულ ერთიან ხედვას, რომელიც ბორჯომის საკურორტო იდენტობის გაძლიერებას ემსახურება, 5 მთავარი მიზანი აქვს:

საკურორტო რესურსის ოპტიმიზაცია;

იერსახის გაუმჯობესება;

დივერსიფიცირებული სამუშაო გარემოს ხელშეწყობა;

საქალაქო ცხოვრების დონის ამაღლება;

უსაფრთხოებისა და შედეგობის გაზრდა.

დასახელებული მიზნების მიღწევა, თავის მხრივ, 3 ალტერნატიული გზით ანუ 3 განსხვავებულ მიმართულებაზე აქცენტირებითაა შესაძლებელი:

ლანდშაფტის დაცვის პრიორიტეტად ქცევა და მომავალი განვითარებისთვის ბაზისის შექმნა;

განვითარების საწყის სტადიაზე ეკონომიკური საკითხებისთვის პრიორიტეტის მინიჭება;

აღგილობრივი საჭიროებების პრიორიტეტად განსაზღვრა და სოციალური ბაზისის შექმნა.

ლანდშაფტის პრიორიტეტის მიმართულებით არსებობს რისკები იმისა, რომ ქალაქმა ამ ბაზისის შექმნაში პოტენციურად დაკარგოს ეკონომიკური სარგებლიანობის პერსპექტივები, მათ შორის იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტიპის ღონისძიებები მოითხოვენ საკმაოდ დიდი რესურსის ფინანსებს. დადებით კონტექსტში, ამგვარი განვითარება პირდაპირ პასუხობს იმ მიზანს რომ ლანდშაფტი და ბუნებრივი გარემო გარანტირებულად წამყვანი ელემენტი იქნება მომავალშიც.

ეკონომიკური პრიორიტეტის მიმართულებით აღსანიშნავია სწრაფი ეკონომიკური სარგებლიანობის შესაძლებლობის გაჩენა, რომელიც შემდგომში შესაძლებელია სხვადასხვა მიმართულებების განვითარებას მოხმარდეს. თუმცა, ქართულ რეალობაში არსებული პრაქტიკები გვანახებს, რომ ეკონომიკაზე ორიენტირებული განვითარება ხშირ შემთხვევაში ქაოტურ, უსისტემო სახეს იღებს და შემდგომში, მისთვის რეგულაციების და რეჟიმების დაწესება, როგორც წესი არაეფექტურია.

ადგილობრივი საჭიროების პრიორიტეტის მიმართულებით აქცენტები ძირითადად მოიაზრებს პირველ რიგში სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნების საპასუხოდ დაგეგმილი ამოცანებისა და ღონისძიებების განხორციელებას. ეს, მოკლევადიან პერსპექტივაში გულისხმობს რესურსების ინვესტირებას ლოკალურად, რომლის ეკონომიკური სარგებლიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და სხვა მიმართულებით სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა ბუნდოვანია.

აღნიშნული რისკებისა და ცალკეული გამოწვევების გათვალისწინებით, განვითარების სტრატეგიის ოპტიმალური ვარიანტის გამოსაკვეთად, საპროექტო ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ შეირჩეს წარმოდგენილი სამივე ვარიანტის ჰიბრიდული მოდელი, რომლის კონკრეტული შემადგენლობა დამკვეთთან ერთად დაზუსტდება კონცეფციის ეტაპზე. აღნიშნულ მოდელში პარალელურად წარმოდგენილი იქნება ისეთი ამოცანები, რომლებიც ფინანსური მოთხოვნებით ერთმანეთს ავსებენ, არ აფერხებენ სხვა დარგობრივ მიმართულებებსა და რაც მთავარია გარემოზე იქონიებენ მინიმალურ ზემოქმედებას.

ხედვის წარდგენის შემდეგ დისკუსია გაიმართა. დამსწრეებმა პროექტის გუნდს საკუთარი მოსაზრებები და იდეები გაუზიარეს.

წლებს შეუძლია შეცვალოს მომავალი

5 წელი - ამ წლებმა ყველაზე დიდი ღირებულებები და მოტივაციის უსაზღვრო შესაძლებლობები დამანახა. მაგრძნობინა, რომ მთავარია გჯეროდეს საკუთარი თავის. ენერგიის ბოლო წვეთებს რომ მიჰყავხარ დაძინებამდე ეს ის დღეებია. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა დასასრულის კულმინაცია აღმოჩნდა. სამუშაო მაგიდასთან გატარებული 8, 9, 10 და ზოგჯერ 12 საათიც კი საკმარისი არ იყო გაცნობოდი ლიტერატურას, გეკითხა სტატიები, უცხოურ ელექტრონულ ინტერნეტ გაზეთებიდან გეთარგმნა გამოქვეყნებული კვლევები და მისი შედეგები გაგეანალიზებინა, დაგეგეგმა და შეგედგინა კითხვარი, რომლის საფუძველზე თავად ჩაატარებდი კვლევას. და ბოლოს, ნაშრომი ყველა ინსტრუქციის დაცვითა და ტექნიკურად გამართული სახით წარმედგინა პლაგიატის კომისიისთვის ჩიკაგოს სტილით - ეს არ იყო მარტივი. თითოეული დეტალის გათვალისწინება, რეკომენდაციები კომისიისგან და გადატვირთული სამუშაო დღე რეალურად ქმნიდა სტრესულ გარემოს, მაგრამ ჩვენ ეს ერთად შევძელით. პირველ რიგში მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ფსიქოლოგიის დოქტორს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს. ვიტყოდი, გამიმართლა რომ გვერდით მყავდა ფსიქოლოგი, რომელიც ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელიც გახლავთ. ალბათ, არასდროს იქნება საკმარისი ის დრო, რომელიც მუდმივად საშუალებას მომცემს ვუთხრა მადლობა.

სიხარულის მიზეზი იყო, როდესაც გავიგე, რომ ჩემი სამაგისტრო ნაშრომის რეცენზიას პედაგოგიკის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ქალბატონი ნატო ყრუაშვილი დაწერდა. მისი რეცენზია, დიდი მოლოდინით ჩავიკითხე და ჩვეული სიამაყით ავივსე, თვალწინ გაირბინა ლექციებმა და მისმა ნათქვამმა თითოეულმა სიტყვამ.

როგორ გამათავისუფლა გამოცდიდან, რადგან არც ერთი სემინარი და ლექცია არ მქონდა გაცდენილი (პანდემიის პერიოდი იყო). ასე იყო, იმ მოსმენილით, მე დამატებით ინფორმაციას ვიგებდი და არ მსურდა გამომრჩენოდა, თუნდაც მცირე დეტალი. ძალიან ვრცელი პოსტი გამომივა, სათქმელს, ბოლომდე რომ მივყვე. ჩემი თქვენდამი დამოკიდებულება ბევრად მეტია ვიდრე ლექტორისა და სტუდენტის.

მინდა უამრავი მადლობა ვუთხრა ჩვენი პროგრამის ხელმძღვანელს ქალბატონ ირმა ქურდაძეს, რომელის კეთილგანწყობა სტუდენტებისადმი უსაზღვროა. მუდმივად ზრუნავს, რომ უნივერსიტეტიდან ცოდნასთან ერთად საჭირო უნარ-ჩვევებიც გამოიმუშაონ სტუდენტებმა. გვიყვარს მისი ხასიათი, ღიმილი და ცოდნა, რომელსაც განვითარებისთვის გვიზიარებს. ყოველთვის ვამბობ, ქალბატონი ირმა, რამდენ შესაძლებლობებს გვიქმნის სტუდენტებს. მისი დამსახურებით აღმოვჩნდი USAID-ის პროექტში ბორჯომის პირველი საჯარო სკოლაში. და შეიქმნა შემეცნებითი ცენტრი ,,მანტია".

არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა ქალბატონ მაია ქუქჩიშვილს, რომელიც დეტალური რეკომენდაციებით, ნაშრომის ჩიკაგოს სტილით აგებისათვის, ბოლო წამამდე მითითებებს მაძლევდა, რათა სამაგისტრო ნაშრომი სრულყოფილი სახით წარმედგინა პლაგიატის კომისიასთან და ღირსეულად მოგეპოვებინა განათლების მაგისტრის ხარისხი. მართლაც უდიდესი გამოცდილება მივიღე და ბოლოს დავრწმუნდი, ძალიან მარტივია დაწერო სამაგისტრო ნაშრომი და გამართო მისი ტექნიკური მხარე, ააგო ჩიკაგოს სტილით, ისე რომ ბოლოს თავად შეძლო დაეხმარო სხვებს.

მადლობა ხათუნა კვინცხაძეს, რომელმაც ვიდეორგოლის გამოგზავნით, მარტივად მასწავლა როგორ შემემცირებინა ვრცელი ლინკები ტექსტზე დამოწმებისათვის.

ეს იყო თვეები, როდესაც ედას (დალი ბალახაძეს) და შვილს ვთხოვდი კიდევ ერთი ჭიქა წყალი მოეტანათ სამუშაო მაგიდასთან.

ეს იყო დღეები, როდესაც გაზეთი ,,ბორჯომის" რედაქციაში ფიზიკურად ვიყავი, მაგრამ გონება, გული და სული სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობდა. მადლობა რედაქტორს სწავლის პარალელურად მუშაობისა და განვითარების შესაძლებლობისათვის.

და ეს იყო წლები, რომლებმაც შესაძლებლობა მომცა სრულიად უფასოდ მიმეღო განათლება და ვყოფილიყავი სახელმწიფო სტიპენდიატი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის სტიპენდიატი და გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიანტი. მადლობა თითოეულ ლექტორს მაკა ბერიძეს, ვახტან ინაურს, მაია ივანიძე, ლალი ბერიძეს, თამრიკო ნარიმანიშვილს, რუსა გელაშვილს, ნინო ფილიშვილს, ქეთევან ნარიმანიშვილს, მარი ნარიმანიძეს, ნინო ზედგინიძეს, კესო გეჯუას, ნინო კარკაძეს, ლილი შაყულაშვილს, გია კაპანაძეს, დავით გოგოლაძეს, ლალი ბარამიძეს, ეთერ გაჩეჩილაძეს, მარეხი ნათენაძეს, როლანდი ქურდაძეს, რომლებიც მასწავლიდნენ და მაღალი შეფასებებით ნდობას გამოხატავდნენ ჩემდამი.

ბოლო დღეებია, მე, ჩემს სამაგისტრო ნაშრომს სული ჩავბერე - მეტყველების განვითარების თავისებურებანი უმცროს სასკოლო ასაკში. მიხარია, რომ რამდენიმე მშობელმა მისი გაცნობა უკვე მთხოვა. ასეთია ჩემი განწყობა, თითქოსდა წამიერად განვლილი 5 წლის ამბის დასასრულამდე რამდენიმე დღით ადრე. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დღეც ახლოვდება.

იზა იანეარაშვილი

სისუფთავე და წესრიგი ოჯახიდან იწყება!

არ დაანაგვიანოთ! ეს ჩვენი ქალაქია!

რაოდენ გასახარია, რომ დედამიწის უმშვენიერეს ნაწილს, სადაც ვცხოვრობთ, საქართველო ჰქვია... და ამ დალოცვილ და მადლიან ტერიტორიაზე არის ასეთი პატარა ზღაპრული ქალაქი - ბორჯომი - ჩემი, შენი, ჩვენი... რომ ვინც აქ ვართ, ან ვინც აქ არ ვართ, ყველგან ჩვენი წილი საქართველო და ბორჯომი დაგვაქვს თან...

მე, რადგან ფეხით მიწევს ძირითადად გადაადგილება სამსახურებისკენ და მერე სახლისაკენ, ყველგან ვაწყდები ჩემივე თანაქალაქელების მიერ დანაგვიანებულ ქუჩებსა და ეზოებს...

,,მტრედის ხიდის“ პირდაპირ გარემონტდა სამი საცხოვრებელი კორპუსი. ფასადებმა თვალებში ,,გამოიხედა“, გაკოხტავდა, ნამდვილად მისასალმებელია! მაგრამ ბინების წინა ეზოები მის ფონზე საშინლად გამოიყურება... რას არ გადააწყდებით იქ... თითქოს შემოგჩივიან ქუჩები, გიბინძურდება თვალსაწიერი, მერე გონება გულისაკენ ატარებს და... გტკივა... ადამიანთა დაუდევრობა გტკივა...

აქვე, მოაჯირის გაყოლებაზე გამწვანების ლამაზი ყვავილებიანი ქოთნები ჩაუდგამს მუნიციპალიტეტის სამსახურს, რომლებიც ზოგან წყლის გარეშე გადამხმარია... ვინც ამ ბინებში ცხოვრობს, **ნუთუ არ შეუძლიათ ამ ქოთნის ყვავილებს წყალი „დაალევინონ“ პერიოდულად?!..**

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ხომ არსებობს და თავმჯდომარე ხომ ყავთ? ამხანაგობა ხომ მნიშვნელოვანი დემოკრატიული წარმონაქმნია საზოგადოებაში, რომელიც განაპირობებს ზოგადად საზოგადოების, საკუთრების ეფექტურად მართვის, ცხოვრების პირობების, ინფრასტრუქტურული და სხვა მესაკუთრეებთან თანაარსებობის ურთიერთობების გაუმჯობესებასა და განვითარებას. ამ ამხანაგობების სწორად შერჩეული მართვისთვის და მაქსიმალურად ყველა სარგებლის წარმატებით ათვისებისათვის აუცილებელია ეფექტური და ცხოვრებაში რეალიზებადი მოქნილი წესდების ჩამოყალიბება, მისი დროულად შემოღება და დაცვა, რათა იცხოვრონ განვითარებულ სამეზობლოში, ჯანსაღ გარემოში. სამწუხაროდ ჩვენ მათ საქმიანობას ვერ ვხედავთ.

გაყვები მტკვრის სანაპიროს, სადაც სკამებია და... მზესუმზირის ჩენჩოებით დაკოპლილია ტროტუარი, იქვე სიგარეტის ნამწვებია მიმოფანტული, დაცლილი ლუდის ან წყლის ქილები, ბოთლები, ნახმარი შპრიცები და... კიდევ რას არ გადააწყდები აქ...

პირველი სკოლის გვერდით და ძველი ადმინისტრაციული შენობის უკან ხომ სულ პატარა გოგო-ბიჭები სისტემატურად ,,ბირჟაობენ“ - ეწევიან, სვამენ, ყრიან ნაგავს... **უკონტროლოა იქაურობა, ნუთუ ვერავინ ამჩნევს ამას?!.. იქვე ხომ სკოლაა, პოლიციაა...**

ეეჰ!.. გვაკლია კულტურა, თვითშეგნება... სამოქალაქო თვითშეგნება - ეს ხომ საზოგადოების პასუხისმგებლობაა ერისა და საკუთარი ადამიანობის წინაშე. სწორედ ეს ფენომენი, რომელსაც სამოქალაქო შეგნების დონე ჰქვია, განაპირობებს ერის, ქვეყნისა და ცივილიზაციის კულტურის რაობას, მის ადგილს თანამედროვე მსოფლიოში და მეტ-ნაკლებად ეხმიანება მის ისტორიას.

,,თითოეული მოქალაქის მორალური ვალდებულება პიროვნულ „მე”-სა და ინდივიდუალიზმის დაცვაა“ - ასე გვმოძღვრავს ილია ჭავჭავაძე, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში საკუთარი ქვეყნის განვითარებისათვის იბრძოდა. მაგრამ სამწუხაროდ, XXI საუკუნეშიც კი ვერ მივაღწიეთ იმ დონეს, რაც საჭიროა ქვეყნის განვითარებისათვის. დღევანდელი ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს საგრძნობლად აკლია სამოქალაქო კულტურის დონე, რაც თვალში საცემია, როგორც აქ, საქართველოში, ისე უცხოეთშიც, ქართველთა ქმედებიდან გამომდინარე. ჩვენს სკოლებში დამტვრეული მერხები და სკამები, დაჩხაპნილი კედლები,.. მახსენდება, ბაკურიანში, დიდველზე სულ ახალთახალი გონდოლის მინები როგორ უმოწყალოდ იყო დაკაწრული თხილამურის ჯოხით.

ქუჩაში მოურიდებლად დაყრილი ნაგავი, საგზაო წესების დარღვევა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განზრახ დაბინძურება და სკამების დაჭრა-დახევა ან დაჩხაპნა, სკვერებში და ბაღებში მოსასვენებელი სკამების განადგურება... კოსტავას პარკში ნაკლებად დაზიანების საბაბით რკინის სკამები ჩაანაცვლეს ხისას და ახლა რკინაც კი გადაუღუნიათ... - ეს, იმ „სიის“ არასრული ჩამონათვალია, რომელიც საქართველოშიც და ჩვენს ქალაქშიც ყოველდღიურობაა და ჩვენს გვერდით თუ ჩვენი თანამონაწილეობით, ნებსით თუ უნებლიედ ყოველდღე ხდება...

მეტი პასუხისმგებლობა, ადამიანებო! ეს ხომ მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი ის უნარია, შეძლოს გააზრება იმისა, რომ მან უნდა აგოს პასუხი საკუთარ ქმედებებზე და ამ ქმედებების შედეგად დამდგარ შედეგზე.

პასუხისმგებლობა ხომ მრავალწახნაგოვანი ფსიქოლოგიური კონსტრუქცია და მისი სახეებია: პირადი, კოლექტიური, მოქალაქეობრივი, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა პასუხისმგებლობები. პირველ რიგში უნდა გავიაზროთ სიტყვა პასუხისმგებლობის არსი. ადამიანს უნდა ესმოდეს, რომ როგორც ცეცხლი არ არსებობს უკვამლოდ და კვამლი უცეცხლოდ, ასევე არ არსებობს შედეგი უმიზეზოდ და მიზეზი უშედეგოდ. მოქალაქე პასუხისმგებლობით უნდა ასრულებდეს საკუთარ უფლებებს და მოვალეობებს, პატივს სცემდეს და ანგარიშს უწევდეს სხვების ინტერესებს, სიფრთხილით მოეპყროს საზოგადოებრივ სიკეთეებსა და ქონებას, მათი გაუმჯობესებისათვის ზრუნავდეს. ის მოქალაქეები კი, რომლებიც პირადი პასუხისმგებლობით არიან განმსჭვალულნი, იჩენენ დადებით მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასაც, მათ გვერდით ცხოვრება გაცილებით მარტივი და სასიამოვნოა...

კონსტანტინე გამსახურდიამ გიორგი მეფის პირით თქვა: **„არცერთი ერი იმაზე მეტის ღირსი არაა, რაც თვითონ არ დაუმსახურებიაო“**. ჰოდა, თუკი ამ სიტყვებს ჩავუღრმავდებით, მართლაც აღმოვაჩენთ, რომ რასაც ვთესავთ, იმასვე ვიმკით და ჩვენივე შეგნებაზე, კულტურაზე და ბრძოლისუნარიანობაზეა დამოკიდებული ჩვენი და ჩვენი ერის მომავალი...

ჩვენი ვალდებულებაა ავიმაღლოთ თვითშეგნება, მივუთითოთ ერთმანეთს იმ ნაკლზე, რასაც ვამჩნევთ. პატივი ვცეთ, პირველ რიგში, საკუთარ თავსა და მერე ჩვენს ქვეყანას. საკუთარი თავის პატივისცემა კი ერის სიყვარულში გამოიხატება და - პირიქით. თუ გვეყვარება ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქალაქი, თუ ავიმაღლებთ თვითშეგნებას და ერთმანეთს „ვაიძულებთ“ ვიცხოვროთ თანამედროვე, ცივილიზებული, კულტურული და ესთეტიკური ნორმების დაცვით, მაშინ საკუთარ თავთანაც მართალნი ვიქნებით და უფალთანაც, რადგან იმ პასუხისმგებლობას პირნათლად შევასრულებთ, რასაც სამოქალაქო შეგნება, მორალი და ზნეობა ჰქვია - ეს ხომ იმ 1/3-ის ნაყოფია, რასაც ადამიანები ქერქს ეძახიან და რაც ჩვენ გვანსხვავებს ცხოველებისაგან.

ამიტომ, ადამიანებო! ჩვეულებრივო თანამოქალაქეებო! უზნეობას ხომ ჩვენ ჩავდივართ?! მერე ხომ ამ სიბინძურეს ისევ ჩვენ ვუყურებთ, ვსუნთქავთ მისგან წარმოქმნილ უსიამოვნო სუნს, ვშხამავთ გარემოს და ვიშხამებით ჩვენც... ყველამ თავის ნარჩენებს რომ მოუაროს და მიხედოს, ნუთუ ასეთი რთულია?!. ან იმ დაზიანებულ სკამზე ისევ შენ და შენი მეგობრები არ უნდა დასხდეთ?!.. განა სკოლის კედლებში არ უნდა ისწავლოთ დუმბაძისეული ადამიანობა, რომ მისი ზნეობრივი სრულყოფის გზებმა, შეძლებისდაგვარად, ღმერთამდე მიგიყვანოთ?!.

მე კიდევ ერთხელ ვეთანხმები მოცემულ თეზისს, რომ მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება ქვეყნის განვითარების საწინდარია.

ნიკო ჯავახიშვილს ეწერა ერთგან და მეც მისმაგვარ გულისტკივილით განვმეორდები: -

„ჩემი ხატია სამშობლო..“,
სანაგვე - მთელი ქვეყანა..!“
მწარეა, მაგრამ ასეა!

ნანა კევლიშვილი

ზაფხული მოგზაურობის დროა

მოვილოცეთ გურიის სიწმინდეები

ბორჯომის წმიდა გიორგისა და ქობისხევის მაცხოვრის სახელობის ტაძრების ნინამძღვრის მამა ილარიონის შემოთავაზებას - გურია - შემოქმედის ეპარქია მოგველოცა, მრევლის წევრები სიხარულით ძევხვდით.

კვირას, 16 ივნისს, ღამის 12 საათზე - წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში მამა ილარიონმა საკვირაო წირვა ჩაატარა, დილით 9-ის ნახევარზე კი მგზავრობის პარაკლისი აღასრულა და სამი მიკროავტობუსით გურიისკენ დავიძარით...

უმოკლესი და უმშვენიერესი მაგისტრალი რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით გავიარეთ, ზოგიერთნი გვირაბებსაც კი ვითვლიდით - საკმაოდ ბევრიც გადავთვალეთ...

ორსაათნახევარში ლანჩხუთში აღმოვჩნდით, სადაც მამა ილარიონის მეგობარი - მამა ბენიამინი მეუღლითურთ დაგვხვდა და მთელი დღის მანძილზე მეგზურობა გაგვიწია... უღრმესი მადლობა მას ასეთი გულისხმიერებისა და თანადგომისათვის...

პირველად ლანჩხუთის სოფელ ორაგვეში წმიდა დიდმოწამე თეკლას დედათა მონასტერი მოვილოცეთ, სადაც მამა გიორგიმ ტაძრის და მონასტრის ისტორია გაგვაცნო...

ასევე მოვილოცეთ ლანჩხუთის, ჭყონა-გორას სამება-ჯიხეთის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის დედათა მონასტერი...

ჩვენი მასპინძელი მამაო - ძირ-ფესვიანად გვიხსნიდა ტაძრის და მონასტრის ისტორიას, რომელიც ულევ მტერთაგან დანგრევას გადარჩენოდა...

მამა ილარიონმა გადაიხადა პარაკლისი, გვცხო ზეთი და ვემთხვიეთ ტაძარში არსებულ წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ფაჩუჩს...

მონასტრის ეზოშივე მოვილოცეთ წმიდა იოანე ნათლისმცემლის მუცლად ყოფნის სახელობის ტაძარი, სადაც აღსავლის კართან დაბრძანებულ იოანე ნათლისმცემლის ხატს წლებია თურმე მირონი სდის.

ამავე ეზოშია სამკურნალო წყალი, რომელიც არაყის კაძარასავით მოდის დასალევად და მცირე ზომის აუზში - განსაბანად...

მამა ილარიონი პირველი ჩავიდა

სამკურნალო წყლის აუზში და ყველას დიდი რუდუნებით გაუნია მსახურება და თანადგომა...

ჩვენმა ბიჭებმა - სტიქაროსნებმა კი, ყველას თითო ფინჯანი სამკურნალო-დასალევი წყალი ჩაგვისხეს ჩვენს მიერ მიტანილ ჭურჭელში...

დიდ სულიერებაში მყოფებმა ვერც ვიგრძენით შუადღის გადასვლა...

მონასტრიდან გამოსულებმა კი, იქვე სპეციალურად მოწყობილ ფანჩატურში ვიტრაპეზეთ და შემდეგი მონასტრისაკენ ავიღეთ გეზი...

ლანჩხუთში გამოვლისას, დავემშვიდობეთ ჩვენს უდავოდ გულიან მასპინძელს მეუღლითურთ და მისგან დალოცვილნი და ბედნიერნი ჩოხატაურისაკენ მიმავალ - საოცრად მიმზიდველ, უმშვენიერეს ბუნებას გაფაციცებული თვალებით აღტაცებულნი ვათვალიერებდით...

და აი, ზღვის დონიდან, ალბათ, 2000 მეტრზე მაღლა ასულნი, მართლაც ზღაპარში აღმოვჩნდით...

მონასტრის ეზოში შესვლისთანავე, ჩვენი ტაძრის ერთ-ერთმა მრევლმა - ნანა გაიხარაშვილმა თავისი მეუღლის ბიძების - ძმები კალანდაძეების საფლავი მოინახულა... ბიძების, რომლებიც ზუსტად 45 წლის წინ, მისი დაოჯახების პირველმოწმენნი და პირველი მასპინძელნი იყვნენ - იმ პერიოდის დაკეტილ მთავარანგელოზის ტაძართან ერთად...

შესასვლელიდან - სასაფლაოდანვე, ქვის კიბეებს, კიდევ უფრო მაღლა და მაღლა მივუყვებით და ჩვენს - მომლოცველთა წინ, ჩოხატაურის ერკეთის სასწაულმოქმედ მთავარანგელოზთა უძველესი, VI-VII საუკუნის, ზოგიერთი მონაცემებით IX საუკუნის ტაძარი უძველესი კანკელით აღიმართა...

სულგანაბულნი ვუსმენთ დედათა მონასტრის მონაზონს მოყოლილი ისტორიას, მათ შორის წმიდა მიქაელ მთავარანგელოზისა და წმიდა ნიკოლოზის ხატების ისტორიებს...

ვემთხვიეთ და მოვილოცეთ ტაძარში დაბრძანებული 200 სიწმინდე, მთავარანგელოზ მიქაელის და სასწაულმოქმედ წმიდა ნიკოლოზის უძველესი ხატები და ტაძრის ყველა დანარჩენი სიწმინდე - უძველეს ნივთთა მუზეუმთან ერთად...

სამწუხაროდ, ცრიდა და ნისლში ,,გახვეული“ ტაძარი და მისი შემოგარენი სამუალებას არ იძლეოდა ასეთი სიმაღლიდან დასავლეთ საქართველოს სილამაზით დავმტკბარიყავით...

ჩემთვის და ყველასათვის - საოცრებათა შორის ისიც იყო, რომ სრულიად პატარა ბეტონის სადგამზე, ალბათ 30-40 სმ-ის სიგანეზე უზარმაზარი - 18 მეტრი სიმაღლის ოქროსფერი ჯვარი აღმართულიყო...

დედათა მონასტრის ეზოშივე მდგარი მუზეუმის შენობა - და სამ წელიწადში გადავსებული თაროები უძველესი ნივთებით - ჭურჭელი, ასევე საოცრებათა ,,სკივრს“ ემატება...

ნამოვედით, დავემშვიდობეთ, თუმცა ჩემი და ყველას გული იქ ერკეთის დედათა მონასტერში დარჩა - გვინდოდა კარგი ამინდი, გვინდოდა დიდხანს იქ ყოფნა, გვინდოდა სული და გული გაჯერებულიყო იქ არსებული სულიერი, მენტალური, ფიზიკური სიძლიერით...

ვიოლეტა ბალანაშვილი

ფაქტები, რომლებიც ღირებულებებს დაგანახებთ!

იცით, სიცოცხლის ხანგრძლივობის საიდუმლოს მკვლევარებმა როგორ უპასუხეს?! - ინფორმაცია, რომელსაც გავეცანი ერთგვარი სითბო და პატივისცემა გამიორმაგა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მუდმივად პატივისცემასა და უსაზღვრო მადლიერებას იმსახურებენ. პიროვნება მაშინ კვდება, როდესაც უფუნქციოდ გრძნობს თავს. კვლევაზე დაყრდნობით ითქვა, რომ ყველაზე დიდხანს ის ადამიანები ცოცხლობენ, რომლებიც ასაკის მიუხედავად არიან მრჩეველები, უხუცესთა საბჭოს წევრები (იმ ქვეყნებში, სადაც დღემდე შემორჩენილია ეს ტრადიციები.) მათ დრომ და ასაკმა დაუგროვათ უდიდესი გამოცდილება და ახლაც აქვთ საშუალება უშუალოდ ჩართული იყვნენ პროცესებში, ახალგაზრდებს, გამოუცდელებს დაეხმარონ გადაწყვეტილების მიღებისას და მას არ უნდოდნ ძველი აზროვნება.

წინა დღეებში „მესხეთის უნივერსიტეტის“ რედაქტორს ქალბატონ მარინა ზედელაშვილს ვესაუბრე. მის უდიდეს გამოცდილებას, ცოდნასა და ასაკს ყველა წარმოუდგენელი პატივისცემით, სიყვარულით, რუდუნებით სცემს პატივს. ასევეა თავადაც, მთელი ძალებით ზუსტად ანალოგიურს გასცემს გარშემომყოფების მიმართ. სამაგალითო დამოკიდებულებაა.

საუბრისას ქალბატონმა მარინამ მითხრა, რომ ბოლო პერიოდში შეუძლოდ გრძნობდა თავს, ამიტომ სახლში მოუტანდნენ ნოუთბუქს და ასეთი ფორმით გააგრძელებდა გაზეთზე მუშაობას და ჩემს წერილსაც მალე გაეცნობოდა.

ამ სიტყვებმა მაგრძნობინა რა დიდი მნიშვნელობა აქვს, იდგე ადამიანის გვერდით, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად სახლში მიგქონდეს რედაქტორთან წერილები გასაცნობად და მის მთავარ ხედვას, სარედაქციო პოლიტიკას პატივს სცემდე, მისი გამოცდილების ყველა ნიუანსს ითვალისწინებდე. სწორედ ეს არის მკვლევარების მიერ დადებული დასკვნაც, რაზეც ზევით ვისაუბრე და ამ ორმა ფაქტმა ერთმანეთთან კავშირი და კითხვაზე პასუხი რეალურად დამანახა. ინსპირაციის წყაროცაა ჩემთვის და მინდა სხვა დაწესებულების თანამშრომლებისთვისაც ასე იყოს.

მახსოვს, ჩვენს რედაქტორსაც მეუღლის სამძიმარზე მისულებმა წერილების გასაცნობად დაბეჭდილი გაზეთის გვერდები მივუტანეთ გადასახედად. დამიტოვეთ, მოგვიანებით წავიკითხავ და გამოგიგზავნითო. დიახ, ასეა გაზეთი „ბორჯომის“ ყოველი ნომერი სარედაქციო პოლიტიკის გამჭირვალე თვალსაჩინოებაა, ვალერიან ლომიძის რედაქტორობით.

იზა იანეპარაშვილი

ვულოცავთ!



ჩვენს ერთგულ და უღალატო მეგობარს, **თემურ ხუხუნაიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს, 80 წელს უახლოვდება. გონებაგახსნილი, მრავალ ჭირვავარამ გამოვლილი, მაგრამ განვლილი ცხოვრების ტკბილ-მწარე მოგონებების, შესანიშნავი ნიჭის მქონე, არაერთი საგულისხმო და საქმიანი წერილების ავტორი, სამშობლოს და მშობლიური ბორჯომის ხეობის დიდი მოსიყვარულე პიროვნება, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, ჩვენი დიდიხნის უნახავი, მტკიცე ნებისყოფის პიროვნეაა. მუდამ გვახარებს მასთან შეხვედრა.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, ულევ სიხარულს საყვარელი ოჯახის წევრებთან, მეუღლესთან, შვილებთან, შვილიშვილებთან, ძვირფას დაიკოსთან და სიძეებთან ერთად. დიდხანს სიცოცხლე და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს ჩვენო თემურ, რა დროს ავადმყოფობა და სიბერეა, წინ დიდი ოცნებები და სურვილებია შესასრულებელი.

დიდი სიყვარულით **ვალერიან ლომიძე, ომარ აბრამაშვილი, მურადი ნოზაძე, ჯემალ ბიბილური, უშანგი ჯანგირაშვილი, ნუგზარ ქარელი.**

საქართველოს ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებს

გერმანიის დიდ მიწაზე,
მოიპოვეთ გამარჯვება,
2-ით 0-ი ვიზეიმეთ,
ზეცა ლხენით ხარხარებდა!
დღეს სრულიად საქართველომ,
გააერთიანა ერი,
სომეხ-აზერ-აჭარელი
აფხაზ-ოსი-ებრაელი!
დაე მუდამ გამარჯვებით
გაგვეტანოს მუდამ ლელო,
ძმობითა და სიყვარულით,
ფეხზე იდგეს საქართველო!
კიდევ მრავალ გამარჯვებას
უფალმა დასწეროს ჯვარი,
არასოდეს არ მენახოს,
აღებული თქვენი კარი.
ფეხბურთის ლომებად იქცეთ,
ძალა შეგემატოთ მუხლში
და თქვენი სადიდებელი,
ლოცვა სულ მღეროდეს გულში.
დაგლოცავთ და გეფერებით,
საქართველოს ყველა ერი,
გამარჯვების გზებზე გევლოთ
დღე გვაჩუქეთ ბედნიერი!!!

იზო სარქისიანი.

დღეს ლომისის ძალა-მადლმა,
მტერს ნაცარი მიაყარა
და სრულიად საქართველოს
გამარჯვება მიახარა.
უსისხლოდაც შეგვძლებია,
დიდ ბრძოლაში გამარჯვება,
ამის შემდეგ თქვენ მეტოქემ
ვერ შეგბედოთ დამარცხება.
სიხარულისგანაც თვალში,
ცრემლის მდინარე გვდიოდა,
ერთმანეთის სიყვარულით,
გულში მზე ამოგვდიოდა!

გიწვევთ აქციონერთა კრებაზე!

2024 წლის 11 ივლისს, 12:00 საათზე, ბორჯომის რაიონის სოფელ დიდ ცემში გაიმართება სააქციო საზოგადოება სს „განთიადის“ აქციონერთა კრება

პატივისცემით, დირექტორი დიანა ჩომახაშვილი

მათ ვისაც შეიძლება ეხებოდეს

ჩემს სანოტარო ბიუროში შემოსულია განცხადება სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან, სადაც ითხოვენ აწ გარდაცვლილი მოქ. ვერა ვარლამოვას (გარდაცვლილი 2021 წლის 12 დეკემბერი) საკუთრებად აღრიცხულ უძრავ ქონებაზე მდებარე ქ. ბორჯომში, მესხეთის ქუჩა №35-ში, მეორე სართულზე არსებული 9.60 კვ.მ. შიდა ფართის ს/კ 64.23.01.920.01.505. როგორც უმკვიდრო ქონებაზე, მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემას, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების მიზნით.

თუ ვინმეს პრეტენზია გაგაჩნიათ აღნიშნულ ქონებაზე, გთხოვთ, მობრძანდეთ ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქუჩა №145-ში მდებარე სანოტარო ბიუროში.

ნოტარიუსი **სალომე გვარჯალაძე**"

აბიტურიენტების საყურადღებოდ!

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ტრანსპორტის“ სამსახურის ინიციატივით, ბორჯომელ აბიტურიენტებს საგამოცდო დღეების განმავლობაში უფასო ტრანსპორტი მოემსახურება. (პირველი სესია)

3,4,5,8,9,10,12,15,16,18,24,25 და 26 ივლისს, მუნიციპალური ავტობუსები ახალციხის მიმართულებით, ქალაქის ცენტრალური მოედნიდან დილის 07:00 საათზე გავა.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი აბიტურიენტებსა და მათ გულშემატკივრებს გამოცდის დამთავრებამდე დაელოდება და მათ ბორჯომში დაბრუნებას უზრუნველყოფს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი ყველა აბიტურიენტს წარმატებას უსურვებს!

ბაკურიანის სკოლის 1989 წლის გამოშვება ღრმა მწუხარებით იუწყება კლასის დამრიგებლის ფატიმა კოზანაშვილის გარდაცვალებას. სამძიმარს და თანადგომას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
ნომრის პასუხისმგებელი მორიგე: იზა იანვარაშვილი
კორექტორი: ნანა კევლიშვილი

კიდევ ერთი წარმატებული გამოსვლა

ზაფხულის ცხელ საღამოს ისე არაფერი უხდება, როგორც ნამდვილი ქართული სიმღერა. მთელი დღის რუტინული რეჟიმის შემდეგ, ხომ კიდევ მეტად სასიამოვნოა ქართული ჰანგების მოსმენა და კიდევ, მეტად სასიამოვნო მოსასმენია, როდესაც საქმე ანსამბლ „მზეშინას“ შემოქმედებას ეხება.

24 ივნისს მომღერალ-მგალობელთა გუნდმა „მზეშინამ“ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში რიგით მეხუთე სოლო კონცერტი გამართა. „მზეშინა“ მაყურებლის წინაშე 15 სიმღერით წარსდგა. აღსანიშნავია, რომ მათ რეპერტუარში დიდ ადგილს იკავებს დები იშხნელების შემოქმედება. ამავე საღამოსაც შესანიშნავად შეასრულეს გოგონებმა სიმღერა დების შემოქმედებიდან. საღამოს შესრულდა მარო თარხნიშვილის სიმღერაც, ასევე იმერული და ლაზური სიმღერების პოპური. საოცარი ხალისი შემოიტანა ბოშურმა სიმღერამ. ღონისძიების დასასრულს შესრულდა ძველი ჰანგები კარგად ნაცნობი და ყველასთვის საყვარელი ქართული კონოფილმებიდან. ანსამბლის გოგონებს, აკომპანირება გაუწიეს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ბატონმა **გაიოზ დვალიშვილმა** და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ბატონმა **რობერტ ნადირაძემ.**

სცენაზე სიტყვით წარსდგა ქალბატონი **ნანა სალაღაია**, რომელმაც გოგონებს მიულოცა კიდევ ერთი წარმატებული გამოსვლა მაყურებლის წინაშე და აღნიშნა, რომ ეს შესანიშნავი გოგონები, ბორჯომის ხეობას ღირსეულად ამშვენებენ.

ანსამბლი **„მზეშინა“** 17 წელია არსებობს. ანსამბლს შვიდი წევრი ყავს: **ლელა მუხურაძე ანსამბლ „მზეშინას“** ხელმძღვანელია, **თინათინ მუხურაძე, ირინა ივანიშვილი, ნათია სოლოღაშვილი, თამთა გურგენიძე, ტატიანა ივანიძე, ლელა ჩადუნელი.**

ღონისძიების დასასრულს ანსამბლი ინოლა გურგულიას უკვდავი სიმღერით - „დარჩი ჩემთან“ დაემშვიდობნენ მაყურებელს. საღამომ საოცარი სითბოთი და სიყვარულით სავსე ემოციები დატოვა თითოეული მაყურებლის გულში. ეს გოგონები მართლაც ბორჯომის ხეობის ღირსეული წარმომადგენლები არიან. ვულოცავთ ანსამბლ „მზეშინას“ კიდევ ერთ წარმატებულ გამოსვლას, მრავალი წელი ეღვაწოთ ბორჯომელი მაყურებლის გასახარად.

ნატო მელიქიძე

გაიმართა სამაგიდო სწავლება

მიმდინარე წლის 18-20 ივნისს, სასტუმრო „ბორჯომი- ლიკანში“, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის და რეაგირების პროგრამის „PPRD East 3”-ის ფარგლებში, სამაგიდო სწავლება გაიმართა.

სწავლება მიზნად ისახავდა ტყის ხანძრებზე რეაგირების საკითხებზე სამაგიდე ვარჯიშის ჩატარებას, რომელიც განხორციელდა ევროკავშირის ექსპერტების, ბორჯომის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისა და შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლების თანამონაწილეობით.

წარმატებით დაიწყო

საფეხბურთო კლუბი „ბორჯომი 2013“ ასპარეზობს დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასზე. გუნდმა ასპარეზობა წარმატებით დაიწყო. მოუგო ლანჩხუთის გურიას 4:1 და „ზესტაფონის - ზესტაფონს“ 3:2.

„ბორჯომი 2013“ ამ მოგებებით დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მერვედფინალში გადავიდა. შემდეგ თამაშს 20 ივლისს გამართავს „ლოკომოტივთან“.

მიმდინარეობს სპორტული მოედნების რეაბილიტაცია

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, 8 მინი სპორტული სტადიონის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

სამუშაოები შემდეგ ლოკაციებზე განხორციელდება;

აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ;
თორის ქუჩის №120-ის მიმდებარედ;
რუსთაველის ქუჩის №107-ის მიმდებარედ;
ნიკოლაძის ქუჩის №19-ის მიმდებარედ;
ხორავას ქუჩის მიმდებარედ;
პეტრე იბერის ქუჩის მიმდებარედ;
მესხეთის ქუჩის №31-ის მიმდებარედ;
სოფელი ტიმოთესუბანი;

8 მინი სტადიონის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად 104 613 ლარია გამოყოფილი. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „დანი ქონსტრაქშენი“” აწარმოებს.

ბორჯომში, ასევე, მიმდინარეებს ჯემალ ზეინკლიშვილის სახელობის ცენტრალური სტადიონის სრული რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში ყოფილი ტურბაზის ტერიტორიაზე ფეხბურთის მოედანი და ჩოგბურთის კორტი მოეწყობა.

სონია სოღოიანის გახსენება

კიდევ ერთი ბაკურიანელი შეეწირა ვირუსს ავადმყოფობას, კიდევ ერთი თანადაბელი შეუერთდა მარადისობას - სონია სოღოიანი, მოსკოვში მოღვაწე გინეკოლოგი, პროფესორი. ამ მწუხარე ამბავს იუწყებიან მისი და-ძმა - ლოვა და ლარისა სოღოიანები ოჯახებით - გულდაწყვეტილები, სევდიანები, თვალცრემლიანები, მაგრამ მაინც ამაყები თავის ღირსეული და ნიჭიერი დის გამო.

სონია სოღოიანი დაიბადა ბაკურიანში, 1952 წლის 26 ნოემბერს. ბაკურიანის სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა. დაიცვა ხარისხი, გახდა მედიცინის დოქტორი, პროფესორი ენდოკრინოლოგ-გინეკოლოგიის განხრით. სონია სოღოიანი იყო უმაღლესი კატეგორიის ექიმი, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული ექიმი 38 წლიანი სტაჟით. ყოველთვის თავდადებით ემსახურებოდა ხალხს, ბაკურიანში მშობლებთან სტუმრობისას თავის თანადაბელებს გვერდში ედგა, ვისაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება სჭირდებოდა, მოსკოვში ჩასულ აქაურებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, ჯეროვან სამედიცინო კვლევას უტარებდა, ყოველთვის მზად იყო დახმარებისთვის. ამ თვისებებით ბევრი ადამიანი მოიმადლიერა. მისი პაციენტების გამოხმაურებებში ყველაზე ხშირად შეხვდებით სიტყვებს: ყურადღებიანი, თავის საქმის პროფესიონალი, თბილი. ადამიანი, რომელიც დაიკლდება ქალიშვილს და ნათესავებს, ახლობლებს, ნაცნობ მეგობრებს და პაციენტებს. ნათელში იყოს მისი სული.

ოჯახი